91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №16 (7115) 15 აგვისტო 2024 წელი

საუკეთესო შედეგი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში!

საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პარიზის ოლიმპიადაზე სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა!!!

ამ შედეგებით საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია მედლების საერთო ჩათვლაში პარიზის 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე 24-ე ადგილზე გავიდა!

სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით პარიზის ოლიმპიადა ჩვენი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული გამოდგა!

ძიუდო – ლაშა ბექაური (ოქრო), ტატო გრიგალაშვილი, ილია სულამანიძე (ვერცხლი)

ძალოსნობა – ლაშა ტალახაძე (ოქრო). იგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

თავისუფალი ჭიდაობა – გენო პეტრიაშვილი (ოქრო), გივი მაჭარაშვილი (ვერცხლი)

კრივი – ლაშა გურული (ბრინჯაო)

საქართველოს ოლიმპიური ნაკრებისთვის „პარიზი 2024“-მდე ყველაზე წარმატებული „პეკინი 2008“ იყო, სადაც სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოვიპოვეთ.

მადლობა, რომ გაახარეთ სრულიად საქართველო!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მომავალი დიდი წარმატებების მისაღწევად.

თერჯოლელები, გაზეთი „თერჯოლა“

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“

☞2

თერჯოლელი აბიტურიენტების წარმატებული სტარტი

წელს, მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლები 241 ახალგაზრდამ დაამთავრა. აბიტურიენტად დარეგისტრირდა 184.

დამთავრდა ერთიანი ეროვნული გამოცდები. საბოლოო შედეგები ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც ყოველ წელს, თერჯოლელ აბიტურიენტთა პირველი წარმატებები უკვე გამოკვეთილია, რაც იმედს გვაძლევს, რომ საბოლოო შედეგებიც საუკეთესო იქნება.

ვულოცავთ ჩვენ სასახელო გოგო-ბიჭებს პირველი ეტაპის ამ წარმატებებს, გვეზეიმოს მათი გრანტებით ჩარიცხვები!

ინტერესით ველოდებით საბოლოო შედეგებს თითოეულის წარმოსაჩენად...

მოსწავლეთა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკი „ნინველები“...

თერჯოლაში საბანაკო ცხოვრების კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული, რაც მოსწავლეთა მუდმივმოქმედ ყოფილ ბანაკ „საპოვნელას“ უკავშირდება. საბანაკო ცხოვრება შედარებით მცირე მასშტაბებით, მაგრამ მომდევნო წლებში მაინც გაგრძელდა. „თერჯოლას“ არაერთხელ უცნობებია თავისა მკითხველებისათვის სიქთარვის, ძევრის, თავასას საჯარო სკოლების საზაფხულო ბანაკურ ცხოვრებაზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სასწავლო შემეცნებითი ბანაკებზე და სხვა.

ახალი ფორმატით და შინაარსით გაცოცხლდა საბანკო ცხოვრება მიმდინარე წელს, მოსწავლეთა ბანაკ „ნინველების“ დაფუძნებით, რომელმაც ბინა ქალაქის ცენტრში, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შენობაში დაიდო.

☞4,5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“

2008 წლის აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულის მძიმე და ტკივილიანი ფურცელია. 16 წლის შემდეგაც არ მოშუშებულა იარა, კვლავ ჯავრიანია სრულიად საქართველო და ცრემლიანი მიაგებს პატივს რუსეთ-საქართველოს მოკლემასშტაბიან ომში დაღუპულთ. 16 წელია ქვეყნის ყველა მოქმედ ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღევლინება მათი სულის მოსახსენებლად, მადლიერი ქართველი ხალხი კი გვირგვინებით და ცვარდაყრილი ვარდებით თუ ხასხასა მიხაკებით ამკობს მათ საფლავებს, „მუხლს იდრეკენ“ და ათასობით სანთელს ანთებენ.

ხუთი თერჯოლელი მეომარი დაიღუპა ამ ომში. ჩვენ ვგლოვობთ: ბადრი ბასილაძეს, გიგა სახელაშვილს, ალეკო ბარდაველიძეს, შმაგი სოფრომაძეს, ვალერი გოგნაძეს, მაგრამ ვგლოვობთ ისე, რომ იგი არ ჰგავს სულით დაცემას.

„გპირდებოდით, რომ დავბრუნდები“

ასე იბარებდა ქართველი, რომელსაც ომში აგზავნიდა სამშობლო და მშობელი დედა. ასე დაიბარა ბადრიმ, გიგამ, ალეკომ, შმაგიმ, ვალერიმ, ვერცერთმა ვერ შეასრულა დანაბარები, მათ გმირულ და თავდადების მაგალითებს თვითმხილველები ჰყვებიან, „საფლავიდან მხრების წამოწევა რომ შეეძლოთ“ ალბათ იტყოდნენ „სამშობლოსათვის ხელახლა მოვკვდებით, ხელახლა, თავიდან, თავიდან“.

გიგა სახელაშვილი

ძირითადად სოფელში ცხოვრობდა, კვახჭირი და მამა-პაპისეული ეზო-კარი იყო მისი ნავთსაყუდარი, უშიშროების აკადემიაში წარჩინებულად

სწავლობდა, გახდა ოფიცერი, მუშაობდა იმერეთის სამხარეო პოლიციაში, ომში გაიწვიეს და წავიდა, ონში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. მისი საფლავი კვახჭირში—მშობლიურ სოფელშია.

ბადრი ბასილაძე

ქორეოგრაფი იყო ბადრი, ჭოგნარისა და ბარდუბნის სა-

შუალო სკოლების ბევრი მოსწავლე აზიარა ხელოვნებას, 2008 წელს მარტში, ქუთაისში, სამხედრო აეროდრომზე დაიწყო მუშაობა. უყოყმანოდ წავიდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და დაიღუპა. სოფელი ამაყობდა მისი არსებობით, სოფელი ამაყობს მისი გმირობით, თვალცრემლიანი ჰყვებიან თანასოფლელები თვითმხილველების ნაამბობს, მის ვაჟკაცობაზე.

ალეკო ბარდაველიძე

ერთ-ერთი პირველი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. უმაღლესი სამხედრო განათლება ჰქონდა, სამხედრო საქმის პროფესიონალი იყო და

უყოყმანოდ წავიდა სამაჩაბლოს, ძირძველი ქართული მიწის დასაცავად შეეწირა კიდეც სამშობლოს. ალეკო ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული. ზედა სიმონეთში, მშობლიურ სოფელში, მისი სახელობის უკვდავსაყოფად და პატივისცემის ნიშნად, მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით და დაფინანსებით, მოწყობილია მისი სახელობის მემორიალი.

ვალერი გოგნაძე

ვალერი ცხინვალში იბრძოდა, შემდეგ ვარიანში.

იაკობ გოგებაშვილის დედა-ენის ნაზიარები, ქართულ მწერლობაზე შეყვარებული, უაღრესად განათლებული ახალგაზრდა აქ დაიღუპა. ასპინძიდან ღვანკითში გადმოსახლებული

მშობლები სამშობლოს—მშობლიური მხარეების სიყვარულით ზრდიდნენ. ასპინძამაც იგლოვა ვალერი, ღვანკითში არის მისი სახელობის სკვერი, ქუჩა, საფლავი კი მუხათგვერდშია. დედის ცხელი ცრემლი მის საფლავს მოგვიანებით, 19 ოქტომბერს დაეცა, ბევრი ღვანკითელი ჩავიდა იმ დღეს თბილისში, დადიან დღესაც...

შმაგი სოფრომაძე

შმაგი უფროსი სერჟანტი იყო. პირველი ქვეითი ჯავშანსატანკო ბატალიონი ქარელის რაიონში განთავსდა. ავნევიდან ცხინვალის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ და მისი ტანკი დაჭრილების გადმოსაყვანად შევიდა. სწორედ ამ დროს, საავიაციო თავდასხმა განხორციელდა. შმაგი ტყვედ

ჩავარდა. დამამცირებლად ეპყრობოდნენ, „წინ გაუფინეს ქართული ეროვნული დროშა და უბრძანეს გაეთელა იგი“. შმაგიმ ბრძანება არ შეასრულა, მის თვალწინ გათხარეს საფლავი და დახვრიტეს. ძევრში მისი მშობლიური სკოლა და ერთ-ერთი ქუჩა შმაგის სახელობისაა, საფლავი მუხათგვერდშია. ესიზმრება ალბათ ოჯახი, სოფელი, „ცადაზიდული“ მთა-გამოქვაბულები და ძევრულის სურნელი...

ბადრის, გიგას, ალეკოს, შმაგის, ვალერის სახელებს დავიწყება არ უწერია, შთამომავლობას, სოფელს, სადაც დაიბადნენ და დაიზარდნენ მუდამ ემახსოვრებათ მათი გმირობის ამბავი, მათ მაგალითზე თაობები აღიზრდებიან, სამშობლოს სიყვარულის, მისთვის თავდადების გაკვეთილებს ისწავლიან და ახალი დიდგორის გმირები გახდებიან.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლელი გმირების პატივსაგებად

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გიორგიმ და საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნას და გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალები, საფლავები და მოინახულეს მათი ოჯახის წევრები.

იმ დღეს მათი ღონისძიება დაიწყო სოფელ ღვანკითში საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული გმირის, ვალერი

გოგნაძის მემორიალიდან, სადაც თერჯოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს და წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი გარდაცვლილი გმირის ნათელ ხსოვნას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ასევე ყვავილებით შეამკეს სოფ. ძევრში უშანგი სოფრომაძის მემორიალი, სოფელ ზედა სიმონეთში ალია ბარდაველიძის მემორიალი, ხოლო სოფ. კვახჭირსა და ჭოგნარში გიგა სახელაშვილისა და ბადრი ბასილაძის საფლავებს მიაგეს პატივი.

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ და სასულიერო პირებმა გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები გადაიხადეს.

თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ომში დაღუპული გმირების ოჯახის წევრების თანადგომისათვის. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათ ოჯახებს ფულადი დახმარება კიდევ უფრო გაეზარდათ.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ შენობებზე და საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები იყო დაშვებული.

„შინდისის გმირები“, „კიდევაც დაიზრდებიან“...

ასე ჰქვია რეჟისორების დავით ხუბუასა და ედმონდ მინაშვილის ფილმს, რომელიც ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში ყველა დაღუპულის ხსოვნას.

ფილმი მოგვითხრობს 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისის ბრძოლაში სამშობლოსათვის თავდადებული ჩვიდმეტი ქართველი ჯარისკაცის ისტორიას, რომლებმაც უთანასწორო ბრძოლაში რუსულ სამხედრო ნაწილს ჩაბარებას სიკვდილი არჩიეს.

ფილმის ჩვენება თერჯოლაში 9 აგვისტოს გაიმართა, რომელსაც საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე მოადგილეებთან: ზვიად ბაზაძესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

„შინდისი—მარადიული ბიჭები“

მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ძევრის საჯარო სკოლის (დირექტორი მანუჩარ ფანჩულიძე) ამ სახელწოდებით, მოსწავლეთა მონაწილეობით გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა. ფილმი, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად, აგვისტოს ომის გმირის, შმაგი სოფრომაძის შვილია გადაღებული დროშით, ასახულმა სამწუხარო რეალობამ, როლების საუკეთესო შესრულებამ, ფილმის ჩვენების რიტუალმა გულგრილი არავინ დატოვა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივებს



2024 წლის 7 აგვისტოს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომის დაწყებამდე, საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბიძინა ბუცხრიკიძისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, შალვა ჭანკვეტაძის მიერ სხვადასხვა საკითხებზე წარმოდგენილი პროექტები.

განხილვის შემდეგ დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს კონკრეტული კატეგორიის მომხმარებლებისათვის შეღავათის დაწესებას წყლის ტარიფის განსაზღვრის დროს. კერძოდ, განსაზღვრული ოდენობის წყალი უფასოდ მიეწოდებათ: I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ საქართველოს მოქალაქეებსა და მათ ოჯახებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ საომარ მოქმედებებში და ბრძოლებში დაღუპული მეომართა ოჯახის წევრებსა და ოჯახებს, ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთა პედაგოგიური საქმიანობა აღემატება 20 წელს.

ასევე, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საოჯახო სასტუმროს მფლობელი მომხმარებლები, მოხმარებული წყლის საფასურის 50%-იანი შეღავათით ისარგებლებენ.

აღსანიშნავია, რომ შეღავათი ამავდროულად შეეხება ნებისმიერ პირს, საქართველოს კანონმდებლობითა და მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. გათვალისწინებულ, ლიმიტირებულ ზღვარს ზემოთ გახარჯული წყლის მოცულობის და საფასურის გაანაგარიშება-დარიცხვას, ახდენს ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფ-

თავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური“ სტანდარტული / არსებული წესით;

დეპუტატების მიერ ასევე მხარდაჭერილია, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა, რომელიც ბენეფიციარებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გარდა, სხვადასხვა სახის სოციალურ მხარდაჭერასაც ითვალისწინებს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ, კომისიის თავმჯდომარეებმა და ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის იურისტმა, იმედა რობაქიძემ უპასუხეს.

საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერს, მანუჩარ რობაქიძეს ინიციატივისათვის, რომლის თანახმადაც, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის გადასაცემად განსაზღვრული თანხა გაორმაგდა.

საკრებულოს სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე, ზვიად ბაზაძე, ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ხელმძღვანელი, ტარიელ ფანჩულიძე, ამავე სამსახურის იურისტი, იმედა რობაქიძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: https: / / terjola. gov.ge / … / terjolis-munitsipalitetis…

ფეინთბოლი თერჯოლაში...

საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მინისტადიონზე საინტერესოდ ჩატარდა ჩემპიონატი ფეინთბოლში.

ფეინთბოლი გუნდური ექსტრემალური სპორტის სახეობაა, რომელიც საბრძოლო მოქმედებების იმიტაციურ თამაშს წარმოადგენს. მისი მიზანი ახალგაზრდებში მასობრივი სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ემსახურება.

ფეინთბოლის ჩემპიონატში მუნიციპალიტეტიდან 40 მონაწილე ჩაერთო. საუკეთესო ტაქტიკური უნარ-ჩვევების გამოვლენის შედეგად პირველ ადგილზე გუნდი „ლეგიონის არტილერია“ გავიდა, მეორე ადგილი „არწივებს“ ერგოთ წილად, ხოლო მესამე ადგილზე გუნდი „ვორიორი“ გავიდა. ჩემპიონებსა და პრიზიორებს ფედერაციისაგან საჩუქრად თასები გადაეცათ.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი ესწებოდნენ.

მოყვარულ ფეხბურთელთა თერჯოლური ფინალი

თერჯოლაში „მოყვარულთა ლიგა 2024“-ის ფინალი გაიმართა. საპოვნელას ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს ძევრის და ეწრის ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდნენ.

მატჩი ეწრელთა გამარჯვებით, ანგარიშით 4-0 დასრულდა.

გამარჯვებულ გუნდს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თასი და მედლები გადასცეს.

ფეხბურთის სამოყვარულო ტურნირში მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 14 გუნდი მონაწილეობდა, ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა.

ღონისძიების ორგანიზატორებია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, შპს კროკობეთი.

მუნიციპალური მატჩების მხარდამჭერი იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია!

ვალერი გოგნაძის სახელობის ტურნირი

სოფელ ღვანკითში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, ვალერი გოგნაძის ხსოვნის ტურნირი-ფეხბურთში.

ეს სპორტული ღონისძიება სოფელ ღვანკითში, ვალერი გოგნაძის ხსოვნის პატივსაგებად, ტრადიციულად ყოველ წელს იმართება.

ტურნირზე ერთმანეთს „ნორჩი იუნკერები“ შეეჯიბრნენ. გამარჯვებული მონაწილეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თასებით და დიპლომებით დააჯილდოვეს.

ღონისძიება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ავტობანთან ეწრელთა დაკავშირების პრობლემა მოგვარდა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, პრაქტიკულად უკვე დასრულდა ამ სოფლიდან თბილისის მიმართულებით გადასაადგილებლად ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დამაკავშირებელი შემოვლითი გზის მშენებლობა.

ამ დღეებში საგზაო სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ დაათვალიერა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

სოფლის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, ეწერში ამ კილომეტრნახევარი—ასფალტსაფარიანი გზის სამუშაოები კომპანია „მშენებელი 2022“-მა შეასრულა.

პროექტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ამ შემოვლითი გზის მოწყობით მთლიანად მოგვარდა საერთაშორისო ავტომაგისტრალით ეწრელთა ყველა მიმართულებით მგზავრობის წლების მანძილზე გადაუჭრელი პრობლემა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ქ. თერჯოლაში, 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე კულტურული, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა:

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის დარბაზში გაიმართა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად?როდის?";

ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში მოეწყო შეჯიბრებები: მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ნარდში;

გაიმართა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ ჩვენება / განხილვა; მოეწყო ასფალტზე ხატვა და საფეხბურთო ტურნირი.

მოსწავლეთა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკი „ნინველები“...

ზაფხული საოცნებო დროა მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდებისათვის, მითუმეტეს მაშინ, როცა წინ ფერადი, შინაარსიანი, საინტერესო აქტივობებით და სასიამოვნო მოულოდნელობებით აღსავსე დღეები გელოდება.

თანატოლებთან გატარებული თითოეული წუთი, ძველი და ახალი მეგობრები, გაცნობა-დამეგობრება, სიურპრიზები, შეხვედრები ყოველივე ეს ძალიან მიმზიდველი და მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობამ უფრო ლაღად იგრძნოს თავი, მიიღოს მეტი ახალი ინფორმაცია, მეტი განათლება. ლოგიკური აზროვნების და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც მათ შემდგომ ცხოვრებაში, სამშობლოს უკეთესი ხვალინდელი დღის, უკეთესი მომავლის მშენებლობაში გამოადგებათ...

ვინ იცის, იქნებ სწორედ დღევანდელი მოსწავლეები თუ სტუდენტები არიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის და განვითარებულ, ცივილიზებულ სამყაროში მისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრების გარანტი?!

რატომაც არა...

„ზღაპარი სიყვარულისა“...

ეს ბანაკი „ნინველებია“, აქ გატარებული დღეებია, წუთებია, აქაური ურთიერთობებია, ენით აღუწერელი სითბო და სიყვარულია, სილამაზე და სიკაშკაშეა, სხვა თვალით, სხვა აღქმით რომ დაგანახებს სამყაროს რეალობას...

ისეთია, მხოლოდ ზღაპრებში რომ შეიძლება იყოს...

„ნინველები“, როგორც სულხან-საბა განმარტავს გოგო-ბიჭებს ნიშნავს. თერჯოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის ამ სახელით ფუნქციონირება ჩვენი წინაპრების, იმ ქალ-ვაჟების გმირული საქმეებისათვის ერთგვარი პატივისგებაა, რომელთა თავდადებამ ეს ქვეყანა დღემდე მოიტანა ბრძოლით, შრომით, თავდადებით, მრავალშვილიანობით, ერის კულტურისა და საუკეთესო ტრადიციების მოვლა-პატრონობით.

***

დიახ, ასეთი ზღაპრული დღეები დაიწყო 25 ივლისს თერჯოლაში, როცა დილის იდილიურ სიმყუდროვეს მზის ოქროსფერი სხივი მიეალერსა და ლამაზი გოგო-ბიჭებით ავსებულმა ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერმა კიდევ უფრო „მეტის ლხენითა“ და სიყვარულით გაიბრწყინა.

დილის 9 საათიდან ერთი კვირის განმავლობაში სულ სხვა სიცოცხლისა და ულამაზესი წუთების ათვლა ხდებოდა ქალაქის ამ უმშვენიერესი ადგილიდან და მისი შემოქმედნი სწორედ „ნინველები“ იყვნენ.

თერჯოლაში საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკი მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ მანუჩარ რობაქიძის იდეა იყო. შესაბამისად ორგანიზება მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა მაკა ასათიანმა გააკეთა სამსახურის თითოეულ თანამშრომელთან და საგანმანათლებო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ქალბატონ ქეთევან შეყრილაძესთან ერთად.

ერთკვირიანი ბანაკი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა, ძალთა მობილიზებას, დიდ ძალისხმევას და პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გარდა იმისა, რომ თითოეული მოსწავლისათვის უნდა შეექმნათ ლამაზი სამყარო, რათა თავი სიყვარულით გარემოსილ გარემოში კომფორტულად ეგრძნოთ, მათივე პასუხისმგებლობაში იყო თითოეულის უსაფრთხოება, ყოველდღიური ტრანსპორტირება, კვება და ა. შ. აგრეთვე სხვადასხვა საკითხების მოგვარება.

ბანაკი მუნიციპალიტეტის სკოლებიდან დირექტორების მიერ შერჩეული წარჩინებული და აქტიური, 14-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებით დაკომპლექტდა, რომელთა საერთო რაოდენობამ 60 შეადგინა.

25 ივლისს თერჯოლის საზაფხულო ბანაკი „ნინველები“ საზეიმოდ გაიხსნა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მანუჩარ რობაქიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა ბანაკის წევრებს და ლიდერებს ლამაზი, საინტერესო და წარმატებული დღეები უსურვეს...

და მართლაც, როგორც თავად ამბობენ, ეს იყო ერთი მეორეზე უკეთესი და მათ ცხოვრებაში უბედნიერესი დღეები—დილიდან საღამომდე დატვირთული სპორტული, გასართობი და შემეცნებითი აქტივობებით. თითოეულს ჰქონდა შესაძლებლობა წარმოეჩინა თავისი ნიჭი და უნარი, როგორც მხატვრული, ასევე სპორტული თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების მხრივ. ბანაკის განკარგულებაში იყო ულამაზესი გარემო—მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზი, ასევე ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერი და ამფითეატრი.

წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, სამ გუნდად გაყოფილი ბანაკის წევრები თავიანთ ლიდერებთან ერთად მართავდნენ მრავალფეროვან აქტივობებს: კონცერტებს, სადაც წარმოადგენდნენ მხატვრულ ნომრებს: სიმღერებს, ცეკვებსა და სკეტჩებს.

აწყობდნენ მხიარულ სტარტებს, ქუჩაში მსვლელობას ფერადი კვამლით, ინტელექტუალურ თამაშებს: რა, სად, როდის და ა. შ.

„ნინველების“ სამივე გუნდის წევრებისათვის, ლიდერებისა და „სტაფებისათვის“ განსხვავებული, ორიგინალური ემბლემით გაფორმებული მაისურებიც კი ყველა მათგანისათვის მთელი კვირის განმავლობაში შთამბეჭდავი და თავისებური ხიბლის შემცველი იყო.

თითოეულ აქტივობას, თეატრალურ სკეტჩებს, ცეკვებსა თუ სიმღერებს ბანაკის წევრები თავ-თავიანთი გუნდების მიხედვით თავად ამზადებდნენ, ერთად ათანხმებდნენ იდეებს და ლიდერებს შემდეგ აცნობდნენ, თავადვე იყვნენ სცენარის ავტორებიც, რეჟისორებიც, მსახიობებიც, მომღერლებიც და მოცეკვავეებიც. თითოეული ნომერი იყო სახალისო, მხიარული და ორიგინალური.

სტუმრის საათის ფარგლებში სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების თერჯოლის მუნიციპალური განყოფილების უფროსმა, ვასილ ტყეშელაშვილმა და სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს განყოფილების უფროსმა სერჟანტმა ზაზა ხუჯაძემ ბანაკის წევრებისათვის საინტერესო სემინარი ჩაატარეს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის შესახებ.

ბანაკის წევრებს უმასპინძლა რესტორანმა „რძლებმა“, სადაც ადგილობრივი მზარეულების მიერ მათთვის გაიმართა იმერული კერძებისა და უგემრიელესი სოუსის კულინარული მასტერკლასი.

ერთი დღე რაიონის ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობას დაეთმო. მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს ნავენახევის მღვიმის მიწისქვეშა საიდუმლოებით მოსილი სილამაზე, ძევრის რეკრეაციული სივრცე და საგვარჯილე, გოგნის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი ე. წ. „კარუგდებელი“ და ახალი ტაძარი.

დღეები არ ჰგვანდნენ ერთი მეორეს. „სურვილების ხე“ კარნახობდა ბანაკის ხელმძღვანელს როგორ დაეგეგმა მომდევნო დღე, ანუ ყოველი ახალი დღე მოსწავლეთა იდეებისა და სურვილების ანარეკლი იყო, ამიტომაც იყო ისინი ულამაზესი, საინტერესო და სიურპრიზებით გაჯერებული.

ელვის სისწრაფით გაირბინა დრომ.

31 ივლისს, საღამოს ექვს საათზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზში „ნინველებმა“ ბანაკის დახურვის ცერემონიალი გამართეს. ლამაზად გატარებული ერთკვირიანი დღეების ბოლო აკორდიც შთამბეჭდავი გახლდათ.

ბანაკის წევრებს მიმართა ბანაკის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ მოსწავლეს, მათ ლიდერებს მუნიციპალიტეტის მერს, მანუჩარ რობაქიძეს, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქეთევან შეყრილაძეს; ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომელთა მხარდაჭერას და დადებით შეფასებას ბანაკთან მიმართებაში, როგორც აღინიშნა, ყოველ-

დღიურად გრძნობდა; შეაქო და მოეფერა ბანაკის წევრებს: **„ძალიან კარგები იყავით, უნიჭიერესები, ძლიერები, აქტიურები, საყვარლები, ამიტომაც გამოვიდა ეს დღეები ასეთი ლამაზი, შინაარსიანი და მრავლისდამტევი. მჯერა ეს პროექტი გაგრძელდება და კიდევ მრავალ მოსწავლეს მიეცემა საშუალება ნახოს და განიცადოს იგივე, რაც თქვენს შემთხვევაში იყო. ეს „ზღაპარი სიყვარულისა“ ამით არ მთავრდება“...**

„ნინველები“ ყოველდღიურად გრძნობდნენ ყურადღებასა და მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის მერისაგან. ბატონი მანუჩარი ამჯერადაც მათთან იყო: **„ყველას მოგესალმებით, განსაკუთრებული მადლობა ბავშვებს, რომლებიც ასე ლამაზად, აქტიურად, პასუხისმგებლობით გაერთიანდით და მონაწილეობდით ბანაკის მიზნის გარშემო. თქვენ შეძელით რომ თითოეული დღე ყოფილიყო ნაყოფიერი, როგორც თქვენთვის, ასევე თქვენს გვერდით მყოფთათვის. იმედია, გარკვეული ცოდნა და ლამაზი შთაბეჭდილებები გაიყოლეთ. მადლობა მშობლებს, რომლებმაც გვანდეს თავიანთი შვილები, მადლობა ქალბატონ ქეთევანს და სკოლების დირექტორებს, ასეთი აქტიური, ნიჭიერი, კარგად აღზრდილი მოსწავლეები რომ გამოგვიგზავნეს...**

მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარა და ხელი შეგვიწყო ბანაკის ფუნქციონირებაში“.

შემდეგ სცენა ერთმანეთის მიმდევრობით ბანაკის გუნდებმა დაიკავეს:

„ლეგიონი“—ლიდერები: ნანო მაკარიძე და უჩა გვენეტაძე;

„სმურფები“—ლიკა ლორთქიფანიძე, გენკა ტოფაძე;

„ბერმუდა“—ანა მაკარიძე, ერეკლე კირკიტაძე.

თითოეული 20-20 მოსწავლით, საკუთარი პროგრამითა და ძალებით მომზადებულ მეტად სახალისო ღონისძიებებს წარმოადგენდნენ... შემდეგ კი ლიდერები თითოეულ მონაწილეს მის მახასიათებელ ნომინაციაში გამარჯვების დამადასტურებელ სიგელს გადასცემდნენ.

ნომინაციები შეეხოთ ბანაკის ლიდერებს, აგრეთვე ბანაკის ინიციატორს, მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ რობაქიძეს და ბანაკის ხელმძღვანელს და ორგანიზატორს—მაკა ასათიანს.

განათლების რესურსცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, მოსწავლეებისათვის გაწეული ზრუნვისა და ბედნიერი დღეებისათვის, მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, რომლებიც ჩართული იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ სიყვარულში, ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის ატმოსფეროში, ლაღად, თავისუფლად და ბედნიერად ეგრძნოთ თავი ჩვენს მოსწავლეებს: **„ეს ზღაპარი დასრულდა, მაგრამ ზღაპრები გრძელდება, მიმართა მან ახალგაზრდებს, ბანაკი ემსახურება დიდ მიზანს— იყოთ თქვენ უკეთესები დღეს, ვიდრე გუშინ და კიდევ უფრო უკეთესები—ხვალ, ვიდრე დღეს... ვფიქრობ განსხვავება ნამდვილად არის, მათ შორის რომ მოხვედით და რომ მიდიხართ. აქ მოგეცათ საშუალება თქვენი ნიჭისა და**

☞5

4 ☜ მოსწავლეთა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკი „ნინველები“...

უნარის, თამამად გამოჩენისა, ლამაზი ურთიერთობებისა, დამეგობრებისა, სიყვარულისა. იმედია, თქვენი მომავალი იქნება ნათელი და ბედნიერი...

ცხოვრება კიდევ უფრო ხანგრძლივი და ლამაზი ზღაპრების ასრულება ყოფილიყოს თქვენთვის...

მადლობა კიდევ ერთხელ იმისათვის, რომ თქვენ დაწერეთ ეს ლამაზი ისტორია“.

შემდეგ იყო ინტელექტუალური თამაშის ფინალური გუნდების დაჯილდოება და ბანაკის მონაწილეებისათვის სამახსოვრო სიგელების გადაცემა მერიისაგან.

ხაზგასმით აღინიშნა ლიდერების თაობაზე, რომელთა შორის: უჩა გვენეტაძე ახალგაზრდა პედაგოგია, ნანო მაკარიძე ასევე ახალგაზრდა ექიმი—რეზიდენტია, ლიკა ლორთქიფანიძე, გენკა ტოფაძე, ანა მაკარიძე და ერეკლე კირკიტაძე კი სტუდენტები. თითოეული მათგანი საუკეთესო თვისებებით, უნარით, შრომისმოყვარეობით, ცოდნით, ასევე ორგანიზატორისა და სიყვარულის უნარით არის დაჯილდოებული. ისინი ჩვენი რაიონისა და სრულიად საქართველოსათვის საამაყონი არიან.

ამასობაში საღამოს 8 საათიც მალე დადგება. ქალაქში კარგა ხანია ხალხმრავლობაა ბანაკის დახურვის აღსანიშნავად და არა მხოლოდ მათთვის, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ ცნობილი ჯგუფის „ქუჩის ბიჭების“ კონცერტით გახალისდებიან. კონცერტის შემდეგ კი ამფითეატრიდან ლამაზი ფოიერვერკით დაემშვიდობებიან ბანაკს, ლიდერებს, მეგობრებს და ხვალ კი ყველას უამბობენ, როგორი კარგი იყო მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკ „ნინველებში“ გატარებული თითოეული დღე. მანამდე კი, „თერჯოლას“ მკითხველებს უზიარებენ შთაბეჭდილებებს და ხაზგასმით აღნიშნავენ როგორ ძალიან უჭირთ ბანაკთან განშორება:

მარიამ უფლისაშვილი, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასი.

ბავშვობა ფერადი, ბრჭყვიალა, ლაღი, ხალისიანი და უდარდელი დღეებია. ამ დღეების კიდევ უფრო გალამაზება უბრალოებას, სიკეთეს, სიმშვიდეს, მყუდრო და თბილ გარემოს შეუძლია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თერჯოლის ახალგაზრდული ბანაკი „ნინველები“ იყო შესაძლებლობა ლაღი ბავშვობისა. ბანაკში გატარებული ყოველი წუთი, აქაური პირობები, აქტივობები გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ვყოფილიყავით მეგობრულად, გვყვარებოდა ერთმანეთი, გვემუშავა გუნდურად.

ბანაკში მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები ცხოვრებაში დაგვეხმარება ჯანსაღი ურთიერთობებისათვის.

გიორგი ზარნაძე, ღვანკითის საჯარო სკოლის მეცხრე კლასი.

გაოცებული და ბედნიერი ვარ ყოველივე იმით, რაც ბანაკ „ნინველებში“ ვნახე და განვიცადე. ძალიან მომწონს ყოველდღიური გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობები, აქ არიან ძალიან კარგი, მეგობრულად განწყობილი ბავშვები და ლიდერები, გვქონდა მრავალი სიურპრიზი. ეს ყველაფერი ძალიან მაგარია. კარგია, როცა ყველას აქვს შესაძლებლობა იაქტიუროს, გაერთოს და დაისვენოს კიდევაც.

მადლობა ჩვენს ხელმძღვანელებს ასეთი სიყვარულისა და არაჩვეულებრივი პირობებისათვის.

ლალო მაკარიძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მეცხრე კლასი.

ბანაკში მოსვლის დიდი სურვილი მქონდა და კარგი მოლოდინიც. შვიდი დღე ძალიან მალე გავიდა, რომ შესაძლებლობა იყოს დიდი სიამოვნებით გავიმეორებდი თავიდან. აქ ადამიანები ისეთი თბილები და კომუნიკაბელურები არიან შეუძლებელია არ შეგიყვარდეს. ლიდერები შესანიშნავები არიან, ერთი წუთითაც უყურადღებოდ არ გვტოვებენ. ნამდვილად გაგვიმართლა.

უდიდესი მადლობა ბატონ მანუჩარს, რომ შესაძლებლობა მოგვცა დავახლოვებოდით ბავშვები ერთმანეთს, მხიარულად გაგვეტარებინა ზაფხულის ეს ცხელი დღეები და შეგვექმნა გასაოცარი შთაბეჭდილებები.

როცა აქ მოვედით გვითხრეს, რომ ადრე თურმე მოსწავლეები „საპოვნელას“ ბანაკში ატარებდნენ დროს, გავა დრო და ჩვენც მოგვეცემა საშუალება სიამოვნებით ვუთხრათ მომდევნო თაობას თუ როგორ სიყვარულით აღსავსე დღეებს ვატარებდით აქ, ბანაკ „ნინველებში“.

მარიამ ხუჯაძე, გოდოგნის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასი.

ჩემთვის ბანაკმა მოლოდინს გადააჭარბა. ძალიან საინტერესო, პროდუქტიული და მხიარული დღეები გავატარეთ აქ. ძალიან მხიარული და მეგობრული ბავშვები, ასევე საოცრად კარგი ლიდერები, ძალიან კარგ გარემოს ქმნიდნენ. ვფიქრობ ის ემოციები, რაც ამ დღეების მანძილზე განვიცადეთ და ის ხალხი, ვისთან ერთადაც გავატარე ეს დღეები, ყოველთვის მემახსოვრება.

ნინი ჯინჯიხაძე, კვახჭირის საჯარო სკოლის მეცხრე კლასი.

ბანაკში გატარებულმა სიურპრიზებით და მოულოდნელობებით სავსე შვიდმა დღემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემთვის ეს ბანაკი იყო არაჩვეულებრივი საშუალება ბავშვების გაცნობისთვის და დამეგობრებისათვის. ჩვენ გვყავს საუკეთესო ლიდერები და „სტაფი“, რომლებიც მუდმივად ჩვენს გვერდით არიან და მაქსიმუმს აკეთებენ ყოველი დღე იყოს ნაყოფიერი და შთაბეჭდილებებით სავსე.

მადლობა ბატონ მანუჩარს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენთვის ამ დღეების შექმნაში თავისი წვლილი შეიტანა.

ნინი ბერეკაშვილი, ჭოგნარის საჯარო სკოლის მეათე კლასი.

ბანაკმა „ნინველებმა“ სრულად შეცვალა ჩემი მოლოდინები და გადააჭარბა კიდევაც. აქ მოსულ ბავშვებს დაგვხვდა საოცარი გარემო, ლიდერები, რომლებიც ცდილობენ სრული კომფორტი შეგვიქმნან. ეს არის ადგილი, სადაც მივიღეთ უამრავი დადებითი ემოცია, რომლებიც დარწმუნებული ვარ

თითოეულისათვის იქნება დაუვიწყარი. ვისურვებდი კიდევ გაგრძელდეს, და სხვებსაც მიეცეს საშუალება ასე ლამაზად გაერთონ, დაისვენონ და მრავალი რამ ისწავლონ, როგორც ეს ჩვენ შემთხვევაში ხდებოდა.

ანანო ზარნაძე, ეწრის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასი.

„ნინველებში“ გატარებული შვიდივე დღე საკმაოდ პროდუქტიული და მხიარული აქტივობებით დატვირთული იყო. თბილ და მეგობრულ ბავშვებთან ერთად თვალის დახამხამებაში გაიარა ამ ბედნიერმა დღეებმა. მათთან ერთად ძალიან კარგი მოგონებები დავაგროვე, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მემახსოვრება.

ნინო ოქრუაძე, რუფოთის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი.

მადლობა ყველას, ვინც მოიფიქრა და შესაძლებლობა მოგვცა ვყოფილიყავით ბანაკ „ნინველების“ წევრი. ყოველი დღე სიხარულის და სიახლეების მომტანია, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

ბანაკმა ბევრი რამ მომცა და ბევრი რამ მასწავლა. აქ მრავალი ადამიანი გავიცანი, რომლებიც მუდამ ჩემი მეგობრები იქნებიან.

ყველას ვუსურვებ ამ ბანაკში ერთხელ მაინც მოხვდეს. ეს არის დიდი ბედნიერება. გული მწყდება, რომ ასე მალე დასრულდა ეს ყველაფერი.

თინათინ ქასრაშვილი, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასი.

ბანაკი იყო ძალიან ბევრის მომცემი. იყო როგორც შემეცნებითი, ისე გასართობი აქტივობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მომეცა საშუალება ვყოფილიყავი თავისუფალი, გახსნილი, გამეცნო სხვა სკოლის ბავშვები, გამომევლინა უნარები. ყოველი აქტივობა იყო მრავლისმომცემი. ეს 7 დღე ნამდვილად იყო დაუვიწყარი და დასამახსოვრებელი. აქ გაცნობილი მეგობრები და აქ გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება.

დათო ხუჯაძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მეათე კლასი.

ამ ბანაკმა მასწავლა მეგობრობა, ურთიერთობა, პატივისცემა და სიყვარული, შესაძლებლობა მქონდა თავისუფლად გამომევლინა ჩემი ნიჭი და უნარები. ყოველი დღე იყო ხალისიანი, ჩემთვის საყვარელი სპორტული აქტივობებით. მქონდა შესაძლებლობა აქტიურად მიმეღო მონაწილეობა ისეთ თამაშებში როგორიცაა: ფეხბურთი, ტენისი, ფრენბურთი და მხიარული სტარტები, რაც ასე ძალიან მიყვარს. ბანაკმა ბევრი კარგი თვისება და ასევე საუკეთესო მეგობრები შემძინა.

ნანო მაკარიძე, ბანაკის ერთ-ერთი ლიდერი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის ექიმი—რეზიდენტი.

ამ ახალგაზრდებს, ბედნიერებს, თავისუფლებს, ჭკვიანებს და საზრიანებს რომ ვუყურებ, ვხვდები და ზუსტად ვიცი, საქართველო საიმედო ხელშია!

საუკეთესოზე საუკეთესოები, ჩვენი ქვეყნის ცისკრის ვარსკვლავი, თერჯოლელი „ნინველები“!

იხარეთ და გაგვახარეთ!

მაკა ასათიანი, ბანაკის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

ბანაკ „ნინველების” ფერადი დღეები ლამაზად დასრულდა, ემოციები არ ნელდება, ვიღებთ უამრავ ზარს და სიყვარულს. ბევრი ადამიანი გვირეკავს და სამომავლოდ, ამ ლამაზი პროექტის გაგრძელებას ითხოვს!

მე, როგორც სამსახურის ხელმძღვანელი, ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომ ამ პროექტმა თერჯოლის მოსახლეობის სიყვარული დაიმსახურა. ყველა ღირებული საქმე გუნდურობას უკავშირდება, მის გარეშე ვერაფერი იქნება სრულყოფილი.

დიდი მადლობა მინდა საჯაროდ გადავუხადო „სტაფს”, თერჯოლის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს: რამაზ ლორთქიფანიძეს, შალვა ჩიქობავას, სოფო გაბრიაძეს, ნინო ბერძულიშვილს, ნუნუ მარაქველიძეს, ეს ადამიანები მთელი დღე ატარებდნენ ბავშვებთან, ზრუნავდნენ და ხელს უწყობდნენ მათ, ნებისმიერ საჭიროებებში.

მადლობა, მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ რობაქიძეს, ჩვენს კურატორს, ზვიად ბაზაძეს, რომ ვიდექით ერთმანეთის გვერდით და ამ ერთობით დავწერეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბანაკ „ნინველების” ლამაზი თავფურცელი!

ჩვენ, ერთად, გუნდურად, მომავალშიც ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ! მიყვარხართ და მეიმედებით!

P.S. კიდევ ბევრი სამადლობელია დასაწერი გულისხმიერ ადამიანებზე!

ავტორისაგან: ბანაკი იმდენად შთამბეჭდავი, მრავალფეროვანი, საინტერესო და რეზონანსული გამოვიდა ყველაფერი ვერ მოგიყევით. ის, რომ მის მახასიათებლად „ზღაპარი სიყვარულისა“ გამოიყენეს, მრავლისმთქმელია თავისთავად. გამოხმაურებებს, წინადადებებს, სურვილებს „ნინველებთან“ დაკავშირებით ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

მზია ცქიფურიშვილი

მადლობა თანადგომისათვის, ღიმილისათვის... თუნდაც ერთი კანფეტისათვის

წუთისოფელი სავსეა სევდით, ტკივილით, უამრავი საზრუნავით... სიხარულითაც, თუმცა, სამწუხაროდ, იშვიათად თუ ვინმე მისწვდება ბედნიერების ვარსკვლავს სამუდამო ფლობისათვის. ყველაფერი ცვალებადია და წარმავალი: სიმდიდრე, ბედნიერება, სიყვარული, თვით სიცოცხლეც კი და მხოლოდ უფლის გადასაწყვეტია, ვინ რომელი ჯვარი უნდა ვატაროთ ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე...

დიახ, განგების ნებამ ბევრი რამ შეცვალა ქალბატონის ცხოვრებაში, რომლის საქმიანობის შესახებაც ეს სტატია იწერება...

ისინი, ვინც რამდენიმე დღის წინ, თერჯოლის საბავშვო ბიბლიოთეკაში, თერჯოლის ქალთა საბჭოს თაოსნობით გამართულ აქტივობას ესწრებოდნენ, დამეთანხმებიან, რომ შეკრებილ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა უფრო ახლოს გაცნობოდა თერჯოლის შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრის „იმედის სხივის“, მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ქალბატონ ნაირა ნიკოლაძის და მასთან ერთად ცენტრის თითოეული მუშაკის უაღრესად დიდ, დასაფასებელ და უმნიშვნელოვანეს საქმიანობას.

ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ეთერ ტურავამ დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა ვრცელი ინფორმაცია რამ განაპირობა, როგორ შეიქმნა და როგორ ფუნქციონირებს შშმ პირთა დღის ცენტრი თერჯოლაში.

ეს ყველაფერი ქალბატონ ნაირა ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. ნაირა და მისი მეუღლე ზურაბ ქემოკლიძე ორივენი კულტურის სფეროში მოღვაწეობდნენ... დაქორწინებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ გაჩნდა მათ ცხოვრებაში გიორგი.

უმძიმესი მოსასმენია ნაირას ოჯახის ისტორია. ექვსი კვირის გიორგის ჭირვეულობა დაეწყო. მაშინვე მიმართა ექიმს, მცდარმა დიაგნოზმა და მკურნალობამ ბავშვის მდგომარეობა გააუარესა, ისე რომ, საბოლოო ჯამში, თავის ტვინის დაზიანება გამოიწვია.

გიორგის ასაკის მატებასთან ერთად იმატებდა პრობლემები. არ არსებობდა სპეციალური სკოლა ან სარეაბილიტაციო ცენტრი. სასკოლო ასაკის გიორგი შეიყვანეს ჩვეულებრივ სკოლაში, საიდანაც მასწავლებელმა გამოუშვა, იმ მიზეზით, რომ გიორგი სხვა ბავშვებსაც ხელს უშლიდა სწავლაში. ეს დედისათვის სიკვდილის ტოლფასი ტკივილი იყო. ოჯახმა ბავშვი თბილისში, სპეცსკოლაში მხოლოდ ერთი წელი ატარა, ასევე ერთი წელი შეძლო ზესტაფონის დღის ცენტრ „ორიონში“ ეტარებინა. ამასობაში ოჯახს კიდევ ერთი მძიმე პრობლემა დაატყდა თავს.

ნაირას ქორეოგრაფმა მეუღლემ, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, მძიმე ტრამვა მიიღო, ხერხემალი დაუზიანდა და ისიც შშმ პირი გახდა.

მიუხედავად მძიმე ოჯახური მდგომარეობისა, ნაირამ „ფარ-ხმალი“ მაინც არ დაყარა და უფრო აქტიურად დაიწყო ზრუნვა თერჯოლაში შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დაარსებისათვის. მიზნის მისაღწევად მძიმე და რთული გზა გაიარა, იყო წინააღმდეგობები, დაბრკოლებები, თუმცა უფლის ნებითა და კეთილი ადამიანების თანადგომითა და დახმარებით 2011 წელს მოხერხდა თერჯოლაში დღის ცენტრის დაფუძნება. ცენტრში დღეისათვის 6 წლიდან 18 წლამდე ასაკის 12 ბენეფიციარი სწავლობს, რომლებსაც, ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, დღის მანძილზე ქალბატონი ნაირა საკუთარი შვილივით უვლის.

ქალბატონმა ეთერმა ისაუბრა ცენტრში არსებულ წესრიგსა და სისუფთავეზე, ბენეფიციარებისათვის შექმნილ საუკეთესო პირობებზე და გარემოზე, სითბოსა და სიყვარულზე, რომელსაც, როგორც დირექტორი, ქალბატონი ნაირა, ასევე თითოეული თანამშრომელი უხვად გასცემს ყველა აღსაზრდელზე.

აქ ყველაფერს მზრუნველის ხელი ატყვია. შექების და მადლობის ღირსნი არიან: პედაგოგი თამარ უნდილაშვილი, ხელოვნების პედაგოგი ხათუნა გურული, რეაბილიტოლოგი ქალბატონი მარიამ აბულაძე, მზარეული ნუნუ კუბლაშვილი, ბუღალტერი ნინო ჭანკვეტაძე, მძღოლი რამაზ ბუცხრიკიძე.

შშმ ბავშვთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრში ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მიმსვლელს შეუძლია ნახოს როგორი პასუხისმგებლობით, შემართებით, მოთმინებით, პროფესიონალიზმით ემსახურება თითოეული თავიანთ საქმეს.

ლამაზად გაფორმებულ სივრცეს, სადაც აღსაზრდელები ძირითადად ცხოვრობენ და საქმიანობენ, ამშვენებს მათი შემოქმედება—არაჩვეულებრივად შესრულებული ნამუშევრები, მათ შორისაა ნამუშევრები თექასა და გობელინზე (ხელოვნების პედაგოგი ხათუნა გურული). ათვალიერებ მათ და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს, რომ იგი ნებისმიერ ადამიანში ამოუწურავია. ბენეფიციართა ამ შესაძლებლობებს, ნიჭსა და უნარს კი სწორ მიმართულებას აძლევენ ცენტრის აღმზრდელ-პედაგოგები.

„იმედის სხივის“ აღსაზრდელთა განსაკუთრებული ნიჭი და უნარი მათი მუსიკისადმი დამოკიდებულებასა და სიყვარულში აისახება, რაც არაერთ მუსიკალურ კონკურსსა და ფესტივალზე დაამტკიცეს მათ. დაუვიწყარია ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 14 ქვეყნის ანსამბლი მონაწილეობდა. თერჯოლის „იმედის სხივმა“ დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. „ეს ბავშვები მსოფლიომ უნდა ნახოს“, ასეთი იყო ჟიურის შეფასება.

იყო კიდევ ერთი: ისევ ბათუმი. ხელოვნების ცენტრში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე „იმედის სხივი“ მაყურებელთა წინაშე წარსდგა სიმღერით—„საქართველოს იავნანა“. ოვაციებში მყოფი დარბაზი და ჟიურის წარმომადგენლები ფეხზე ადგომითა და აცრემლებული თვალებით დიდხანს და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს მათ საუკეთესო შესრულებას. ისევ მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. საკონცერტო დარბაზიდან გამოსულებს კი ულოცავდა უამრავი უცნობი გულშემატკივარი, ეფერებოდა და მათთან ერთად სურათებს იღებდა.

„იმედის სხივის“ აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ ასევე სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ დონეზე, საიდანაც ყოველთვის პატივგებულები და წარმატებულები ბრუნდებიან, აღნიშნა ქალბატონმა ეთერმა, რომელმაც შემდეგ სიტყვა გადასცა ქალბატონ ნაირა ნიკოლაძეს.

„რთულია საუბარი საკუთარ თავზე, აქ საკმაოდ ითქვა საიდან მოვდივართ, რა და როგორ შევძელით, რა თქმა უნდა, მე მარტო არა, ყველამ ერთად ერთ მუშტად შეკრულმა **კოლექტივმა 13 წლის მანძილზე ამ ადამიანებისათვის, ვფიქრობ, შევძელით, რომ სხვაგვარად წარმართულიყო მათი ერთფეროვანი, უინტერესო ცხოვრება, სხვა სამყარო დაგვენახვებინა, მიგვეცა რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა.**

ჩვენი მიზანია თითოეულ ბენეფიციარში აღმოვაჩინოთ მისი ძლიერი მხარე, წარმოვაჩინოთ და მივცეთ შესაბამისი განვითარების უნარი, ამიტომაცაა, ზოგი შესანიშნავად ხატავს, ზოგიც მუშაობს თექა-გობელენზე, ზოგს კი აქვს შესანიშნავი ვოკალური მონაცემები. ამ უნარ-ჩვევების განვითარებით და წინა პლანზე წამოწევით, რომელსაც შედეგიც მოჰყვება ხოლმე, „იმედის სხივის“ კოლექტივი უზომო სიამოვნებასა და სიხარულს განიცდის.

რთულია ამ ბავშვებთან მუშაობა, მათ უნდა შეურჩიო ხასიათი, განწყობა. სხვა შემთხვევაში არაფერი გამოგივა. მოთმინება, სიმშვიდე, თბილი და მეგობრული დამოკიდებულება და რაც მთავარია თუ არ შეიყვარებ მათ მთელი გულით და არ გაითავისებ მათ მდგომარეობას ვერ იმუშავებ, ვერ შეძლებ სასურველი შედეგის მიღებას. ჩვენ ყველას ერთად სწორედ ეს უნარი გვაერთიანებს და ის, რომ ყველას გვჯერა ადამიანი თუ რაიმეს დაისახავს მიზნად აუცილებლად მიაღწევს. როცა ვიხსენებთ, როგორები მოვიდნენ ეს ბავშვები ჩვენთან და ვადარებთ როგორები არიან დღეს, გვაქვს ნამდვილად თვალსაჩინო შედეგი.

ბენეფიციარებთან მუშაობის თავისებურებასა და თავიანთ საქმიანობაზე ისაუბრეს ცენტრის პედაგოგებმა და თანამშრომლებმა: ხათუნა გურულმა, თამარ უნდილაშვილმა, მარიამ აბულაძემ, ნინო ჭანკვეტაძემ, ნუნუ კუბლაშვილმა.

„იმედის სხივი“ ვაუჩერულ დაფინანსებას ღებულობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან. ქალბატონი ნაირა და ცენტრის თანამშრომლები მადლობას უხდიან მათ და აგრეთვე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ცენტრის მიმართ გამოჩენილი თანადგომისა და მორალური და ფინანსური მხარდაჭერისათვის.

„მადლობა ყველას, ვისაც კი ჩვენი აღსაზრდელებისათვის თუნდაც ერთხელ გაუღიმია, თავზე ხელი გადაუსვია, ან თუნდაც ერთი კანფეტი მიუწოდებია, ვერ წარმოიდგენთ, ისინი ამ დროს როგორი ბედნიერები არიან“...

„ჩემი ცხოვრება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, ბევრი რთული წელიწადი გავიარე, აღნიშნა ცენტრის დირექტორმა, მაგრამ მე არ მივეცი ჩემს თავს უფლება დავცემულიყავი. ჩემს უკან იდგა ჩემი ნანატრი ბიჭი, რომლის აღზრდასაც ათჯერ მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა, ვიდრე სხვებს. მიზნად კი, არა მხოლოდ ჩემი შვილის, არამედ მასთან ერთად სხვა ბავშვების დახმარებაც დავისახე და მიზანსაც მივაღწიე. დავრწმუნდი, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“...

წარმოდგენილი პრეზენტაცია, ანუ შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრის „იმედის სხივის“ საქმიანობა, მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, ასევე პედაგოგების და თანამშრომლების გაწეული მუშაობა მაღალ დონეზე შეაფასეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს: ქ. თერჯოლის №2 საბავშვო ბაღის დირექტორმა ლია გიორგაძემ, საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ რუსუდან ნიშნიანიძემ, თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წამომადგენელმა თეა ქემოკლიძემ, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლალი ცქიფურიშვილმა, თერჯოლის ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების და კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა, პედაგოგმა შორენა კახიძემ და სხვებმა.

სამწუხაროა, რომ დღემდე არც ერთ ბიზნესმენს ცენტრის მიმართ არავითარი დახმარება და თანადგომის სურვილი არ გასჩენია, თუ ასეთი სურვილი ვინმეს ამ ღონისძიების შემდეგ გაუჩნდება, მივესალმებით...

ღონისძიების დასასრულს კი ცენტრის აღსაზრდელთა მომღერლების ჯერი დადგა, მათ მიერ ლამაზად შესრულებულმა რამდენიმე სიმღერამ აღტაცება და სიხარულის ცრემლებიც გამოიწვია.

ბენეფიციართა ცეკვა-სიმღერას უფროსებიც შეუერთდნენ...

გაუბედავი, მორცხვი ნაბიჯები თანდათან უფრო თამამი გახდა და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს ყველამ ერთად სურათებიც გადაიღეს.

ბიბლიოთეკის დარბაზში ცენტრის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება და მისი დათვალიერების საშუალება ყველა მსურველს ექნება.

თერჯოლის ქალთა საბჭომ და პირადად ქალბატონმა ეთერმა არაერთი მადლობა მიიღო ასეთი ლამაზი აქტივობის ორგანიზებისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

ნინი წივწივაძე საერთაშორისო ტურნირის „ბათუმი-2024“ გამარჯვებულია!

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, 25 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „ბათუმი 2024“.

ტურნირში, სადაც 8 ქვეყნის წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას, დიდი წარმატებით გამოვიდა თერჯოლის სპორტული სკოლის მოსწავლე ნინი წივწივაძე. ჩვენს მოჭადრაკეს, დამაჯერებელმა თამაშმა, მაღალი კონკურენციის მიუხედავად, 14 წლამდე გოგონათა შორის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოუტანა.

ვულოცავთ ნინის და მის მწვრთნელს, ოსტატობის კანდიდატს გია ჭუმბურიძეს ამ მნიშვნელოვან წარმატებას!

„თერჯოლა“

წარმატებული საიუბილეო ტურნირი

4 აგვისტოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასრულდა ქართლოს ჭუმბურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი X-ე საიუბილეო ტურნირი მინი ფეხბურთში.

ამ დღეს, ფინალურ მატჩამდე, მესამე ადგილისათვის ერთმანეთს „ზედა სიმონეთის“ და „ნახშირღელეს“ გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 3-3 დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში 4-3 „ზედა სიმონეთის“ გუნდმა გაიმარჯვა.

ასევე ფინალური მატჩის დაწყებამდე, ქართლოსის მეგობარმა, უეფას მედია-ოფიცერმა, მამუკა კვარაცხელიამ (სფფ-ს პროგრამა „ღია სახალისო ფეხბურთი“) სახალისო თამაშები ჩაუტარა ზედა და ქვედა სიმონეთის და ბარდუბნის პირველ და მეორე კლასელებს, რომლებსაც ასევე გადასცა ბურთები, მაისურები და მოსაცმელები.

შემდეგ კი, გაიმართა ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის დებიუტანტი თერჯოლის „MEKA“ და ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ბარდუბნის „სათემო“. დაძაბული და საინტერესო მატჩი დასრულდა ბარდუბნის „სათემო“-ს გამარჯვებით, ანგარიშით 6-3, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა ქართლოს ჭუმბურიძის თასის მფლობელი.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სოსო ჩაფიჩაძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ბარდუბანში, რომან ბარდაველიძე, სათემო უბნის სტადიონის დამაარსებელი ელგუჯა აბულაძე, ქართლოსის უფროსი ვაჟი, კახა ჭუმბურიძე, ქართლოსის მეგობარი, უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია, ირფფ-ს (პრეზიდენტი დავით რუხაძე) თანამშრომლები, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორი, ირაკლი ჩხეიძე „საპოვნელა 2023“ თერჯოლას მთ. მწვრთნელი რამაზ გურაბანიძე, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების, მოთამაშეების და მსაჯების დაჯილდოებაში.

ირფფ-ს პრეზიდენტმა დავით რუხაძემ, ქართლოსის უფროსმა ვაჟმა, კახა ჭუმბურიძემ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს ტურნირის ჩატარების მნიშვნელობაზე, ფეხბურთის პოპულარიზაციაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ქართლოს ჭუმბურიძის ხსოვნის უკვდავყოფაზე, მადლობა გადაუხადეს ტურნირში მონაწილე ყველა გუნდს და გულშემატკივარს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ სათემოს მოსახლეობას, 2025 წლისთვის ახალი სტადიონის მშენებლობას შეჰპირდა. მუნიციპალიტეტის მერმა ამ დაპირებით ძალიან გაახარა ადგილობრივი მოსახლეობა და ტურნირში მონაწილე გუნდები.

ტურნირის პრიზიორები:

„სათემო“ ბარდუბანი - I ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასით, I ადგილის თასით, შესაბამისი მედლებითა და დიპლომით - პრიზები გადასცეს ირფფ-ს პრეზიდენტმა დავით რუხაძემ, ქართლოს ჭუმბურიძის ვაჟმა კახა ჭუმბურიძემ.

„MEKA“ თერჯოლა - II ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით - პრიზები გადასცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, სფფ-ს მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

„ზედა სიმონეთი“ - III ადგილის მფლობელები დაჯილდოვნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით - პრიზები გადასცა თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, ირფფ-ს გენერალურმა მდივანმა გივი ბაბუნიძემ.

აგრეთვე, დაჯილდოვდნენ ტურნირის გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც გადაეცათ ინდივიდუალური პრიზები:

მსაჯები - ზურაბ ვაშაყმაძე, ირაკლი ხეცურიანი დაჯილდოვდნენ ბურთებით - ბურთები გადასცა ირფფ-ს სამსაჯო მენეჯერმა გიორგი კიკაჩეიშვილმა.

ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი - შაკო ცქიფურიშვილი („სათემო“) პრიზი გადასცა კობა კვატაიამ (შპს „MEKA”-ს დირექტორი).

ტურნირის სტაჟიანი ფეხბურთელი - თაზო გვენეტაძე („სათემო“) - პრიზი გადასცა მანუჩარ რობაქიძემ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი).

საუკეთესო მეკარე - ზაზა სამანიშვილი („სათემო“) - პრიზი გადასცა ელგუჯა აბულაძე (სტადიონის დამაარსებელი).

საუკეთესო მცველი - ბაკური ნიკოლაძე („ნახშირღელე“) - პრიზი გადასცა ირფფ-ს პრ-მა დავით რუხაძემ.

საუკეთესო თავდამსხმელი - ლუკა აბჟანდაძე („ზედა სიმონეთი“) - პრიზი გადასცა უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

საუკეთესო ბომბარდირი - ზვიად ცერცვაძე („MEKA“) - პრიზი გადასცა გიორგი ბარათაშვილმა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე).

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი - ნიკა ღიბრაძე („MEKA“) - პრიზი გადასცა რამაზ გურაბანიძემ („საპოვნელა 2023” მთ. მწვრთნელი).

საუკეთესო ასაკოვანი ფეხბურთელი - ზვიად ღვინეფაძე („MEKA“) - პრიზი გადასცა უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

საუკეთესო ფეხბურთელი - ვახტანგ ფუტკარაძე („სათემო“) - პრიზი გადასცა ირფფ-ს გენერალურმა მდივანმა გივი ბაბუნიძემ.

ბომბარდირები:

1. ზვიად ცერცვაძე - 9 („MEKA“ თერჯოლა)
2. ვახტანგ ფუტკარაძე - 9 („სათემო“)
3. გიორგი ღვინეფაძე - 6 („ზედა სიმონეთი“)
4. ბაკურ ნიკოლაძე -6 („ნახშირღელე“)
5. გიორგი ცერცვაძე - 5 („MEKA“ თერჯოლა)
6. გიორგი ლანჩავა -4 („ნახშირღელე“)
7. გაგა ცაგარეიშვილი 4 („სათემო“)
8. ნიკოლოზ ფანჩულიძე 3 („ზედა სიმონეთი“)
9. გიორგი ქემოკლიძე - 3 („ზედა სიმონეთი“)

წარმატებები ქართლოს ჭუმბურიძის ხსოვნის ტურნირს და მის მონაწილეებს.

იმედია მომავალ წელს მორიგი მეთერთმეტე ტურნირი სათემოს განახლებულ სტადიონზე ჩატარდება!

შალვა (შაკო) მეფარიძე

ჩვენო შაკუნა, შვილო, გავიდა ცრემლით, ტკივილით და მონატრებით სავსე ერთი წელი. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა. გაუ-

საძლისია შენთან განშორება, დაუვიწყარია შენთან ყოფნის პერიოდი. ყოველ წუთს გიხსენებთ და ძალიან გვაკლიხარ. ცრემლიანი თვალებით შევყურებთ შენს სურათს, სანთელს გინთებთ და ვლოცულობთ შენი სულისთვის.

2023 წლის 22 აგვისტო—შენი გარდაცვალების დღე, ჩვენთვის მწარედ მოსაგონებელია ჩვენო მონატრებულო შვილო. იმ დაწყევლილი დღიდან, როცა ბოლოჯერ ვილაპარაკეთ, შენი ხმა აღარ გამიგონია, მას მერე ყოველდღე გეძებ ოთახში, მაგრამ მხოლოდ შენს ფოტოებს და ნივთებს ვაწყდები ყველგან, მას შემდეგ... შენთან ერთად დაიმარხა და დასამარდა ყველაფერი, რაც მახარებდა. იმ დაწყევლილ დღეს ჩაქრა შენი სიცოცხლე და თან წაიღე ჩვენიც...

ტკივილი არასოდეს ჩაცხრება, ცრემლები არასოდეს გაშრება და სული მუდამ უიმედობისგან იტირებს!

შენ დააკლდი არა მარტო ოჯახს, არამედ სოფელს, სანათესაოს და სამეგობროს. ყველას გულში დიდი ტკივილი და მწუხარება დატოვე. დაგვაკლდა შენი სითბო და მზრუნველობა. კეთილო და სათნოვ, ქრისტიანული ცხოვრებით იცხოვრე, იყავი საუკეთესო მეგობარი, საუკეთესო ძმა, საუკეთესო შვილი. ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, არავინ შეგიწუხებია, შველა არავისთვის გითხოვია. წამებში დასრულდა შენი სოცოცხლე. თვალცრემლიანი ვივლით, უამრავ სანთელს დაგინთებთ და უფალს შევთხოვთ, შეგინდოს ყველა შეცოდებანი და იქ დაგიმკვიდროს ბინა, სადაც მართალნი განისვენებენ.

ყოველთვის გვემახსოვრება შენი სათნო, ლამაზი ღიმილი და გულის სითბო.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

დრო არ კურნავს, ტკივილი არ ქრება, უბრალოდ ვისწავლეთ როგორ გაუძლოს ამ ტკივილს ჩვენმა გულებმა!

ძალიან მენატრები! მიყვარხარ სამარადისოდ, ჩვენო ანგელოზო ბიჭო!

ოჯახი

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქეთინო და ზურიკო კირკიტაძეებს მამიდაშვილის

ალიკა ალასანიას

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გულო ხვედელიძეს და ნელიკო შეყილაძეს დისშვილიშვილის და დეიდაშვილიშვილის

დიტო წიქარიშვილის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია სახელაშვილს შვილის

რამინი ნეფარიძის

გარდაცვალების გამო.

ეს მხოლოდ დასაწყისია, წინ უამრავი წარმატებაა...

თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა (დირექტორი ვალერი კუბლაშვილი), ხელოვნების ის ტაძარია, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი სრულად წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობები, შეისწავლოს, დახვეწოს და სრულყოს ის მონაცემები, რაც მათი თანდაყოლილი ნიჭიდან მომდინარეობს. აქ მოღვაწე, გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგები მზად არიან ფორტეპიანოს, ვოკალის, გიტარის, თუ ხალხური საკრავების და ა.შ. ხელოვნებას აზიაროს თითოეული მათგანი. ნორჩ მუსიკოსთა თუ მომღერალთა შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. ამას მოწმობს სკოლაში, რაიონულ ღონისძიებებში, ქვეყანაში თუ მის გარეთ, სამუსიკო სკოლის ნიჭიერ აღსაზრდელთა გემოვნებით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით გამართული კონცერტები. სამუსიკო სკოლის მომღერალთა გუნდი თუ ინდივიდუალური შემსრულებლები ყოველთვის, ყველგან მოწონებას და მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

ანსამბლი „ჭიუხი“, რომელსაც უკვე კარგად იცნობს თერჯოლელი და არა მხოლოდ თერჯოლელი მაყურებელი, 2023 წლის მარტის თვეში შეიქმნა. „ჭიუხი“, ეს არის სამუსიკო სკოლის მომღერალთა და ხალხურ საკრავთა ანსამბლის გაერთიანებული გუნდი, რომელსაც სკოლის ამაგდარი, ღვაწლმოსილი ქალბატონი გულთამზე კუბლაშვილი და ახალგაზრდა კაცი, რამაზ მემანიშვილი ხელმძღვანელობენ. რამაზი, ორიოდე წლის წინ შემოუერთდა სკოლის პედაგოგთა რიგებს.

ქალბატონი გულთამზე კუბლაშვილის მაღალმა პროფესიონალიზმმა და მასთან ერთად რამაზის მონდომებამ და საქმის სიყვარულმა ანსამბლი „ჭიუხი“ სულ მალე პოპულარულად აქცია.

ანსამბლის რეპერტუარში ძირითადად ხალხური სიმღერებია, ხალხურ საკრავებთან ერთად. ერთი წლის მანძილზე ანსამბლს მრავალი მნიშვნელოვანი გამოსვლა ჰქონდა ისეთ საქვეყნო პროექტებში, როგორიცაა კონკურს-ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, ხელმძღვანელი ნინო კუპატაძე, წარმატებული გამოსვლის შემდეგ იყო გალა-კონცერტი. 2023 წლის 9 აპრილს ანსამბლი უკვე მიწვეული იყო თბილისის პროფკავშირთა სასახლეში გამართულ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

ულამაზესი გამოსვლა ჰქონდა და მაყურებელთა აპლოდისმენტები დაიმსახურა ანსამბლმა სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე და სხვა საჯარო მოსამსახურეები ესწრებოდნენ.

აქ მოხდა უმნიშვნელოვანესი ჟესტი მერის მხრიდან. გაიცა სკოლის შენობის გარემონტების დაპირება, რაზედაც კარგა ხანია ოცნებობდნენ სკოლის დირექცია და პედაგოგები. სკოლის სარემონტო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და უკვე დასრულების ფაზაშია, ასე რომ სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები სექტემბრიდან სრულიად სხვა სამყაროში გააგრძელებენ სწავლას.

„ჭიუხმა“ მონაწილეობა მიიღო და პირველი ადგილი მოიპოვა გასული წლის 16 მაისს, ცხრაწყაროში, „ვარენკობის“ დღესასწაულზე. 25 ოქტომბერს თერჯოლაში, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში თერჯოლლობის დღესასწაული დაამშვენა ანსამბლის გამოსვლამ. 23 ნოემბერს, თბილისში, „არტ-ჰოლის დარბაზში გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ კონცერტზე ჰქონდა მიწვევა და ანსამბლმა მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

29 დეკემბერს სამუსიკო სკოლაში საახალწლო ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ანსამბლი თავისი ლამაზი რეპერტუარით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით ყველა კონცერტს დღესასწაულად აქცევს;

შემდეგ, 2024 წელს იყო საშობაო „ალილო“. ეს იყო პირველი მასშტაბური საშობაო ღონისძიება, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის თაოსნობით მოეწყო. ღონისძიება მასშტაბური იყო, მსვლელობა ჭაბუკმთის ტაძრიდან დაიწყო და დღის ბოლოს თერჯოლის „ხარების“ სახელობის ტაძართან დასრულდა. „ალილოს“ მონაწილეთა შორის გამორჩეული იყო ანსამბლი „ჭიუხი“, რომლის წევრები, ფორმებში ჩაცმული მთელი დღის განმავლობაში აქტიური მსვლელობით ხმაშეწყობილი და უკვდავი „ალილოთი“, განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა ღონისძიებას, რისთვისაც მათ მუნიციპალიტეტის მერის ყურადღება, მადლობა და საჩუქრები დაიმსახურეს.

ანსამბლი წარმატებით აგრძელებს კონცერტებში თუ კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობას. 28 მარტს, ანუ შექმნის ერთი წლისთავზე, კვლავ „მომავლის ვარსკვლავებში“ მიიღო მონაწილეობა და კვლავ გალა-კონცერტის მონაწილე გახდა. 14 აპრილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე ჰქონდა გამოსვლა, 13 აპრილს მცხეთაში „მცხეთობაზე“, 27 აპრილს კი—„მომავლის ვარსკვლავების“ გალა-კონცერტზე.

ანსამბლი აქტიური მონაწილეა ქართული ტრადიციული სიმღერების ფესტივალის „სხვა საქართველო სად არისა“. საგულისხმოა, რომ ამ პროექტის ოთხი ტურიდან, პირველ ორ ტურს თერჯოლამ უმასპინძლა, ხოლო შემდეგი ორი ტური მარნეულში გაიმართა. მარნეულში ანსამბლის მხარდამჭერი იყო და მათ კონცერტს დაესწრო ბატონი მანუჩარ რობაქიძე. ანსამბლის წევრებს დიპლომები გადაეცათ, ამჯერად მათ მეორე ადგილი მოიპოვეს.

წლევანდელი სეზონი ანსამბლმა ქობულეთის „ნარინჯისფერ“ კონკურს-ფესტივალში მონაწილეობით დაასრულა. თუმცა მანამდე იყო კიდევ ერთი „მთაწმინდაზე“ გამართული ღონისძიება და წარმატებული გამოსვლა. ანსამბლის ხელმძღვანელებს გულთამზე კუბლაშვილს და რამაზ მემანიშვილს, ასევე ანსამბლის ზემოთაღნიშნულ წევრებს მიღებული აქვთ მრავალი დიპლომი, სიგელი და სამადლობელი კონკურს-ფესტივალების ორგანიზატორებისაგან.

გაიცანით, ესენი ანსამბლ „ჭიუხის“ წევრები არიან: ლიკა არაბიძე, მარიამ გვენეტაძე, რეზი და მევლუდ ბუსკივაძეები, ელენე და დათა ქარქაშაძეები, გია ცინაძე, მარიამ ქურცაძე, ნინო და ანიტა სოფრომაძეები, დათო კუპატაძე, ნინი, სანდრო და ნინი კუბლაშვილები, ფატი და მარიამ ზარნაძეები, ილია რობაქიძე, ანდრია ჭოლაძე, ანანო მაკარიძე, ანამარია ზამბახიძე, ნიკა ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ მაჩიტიძე, თეონა ზაქარაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, ანდრია ბუცხრიკიძე.

კიდევ მეტი პოპულარობა და წარმატებები ანსამბლს ჯერ კიდევ წინ, მომავალში ელოდება, სექტემბერში ახალ გარემონტებულ დარბაზში გააგრძელებენ მუშაობას, დაამუშავებენ ახალ რეპერტუარს და იმედია კვლავაც ასახელებენ სამუსიკო სკოლასა და მშობლიურ რაიონს.

აქვთ კიდევ ერთი სასიხარულო მომენტი—ბატონი მანუჩარ რობაქიძე ანსამბლს ფორმებს დაპირდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფორმებიც აუცილებლად იქნება.

ანსამბლის წევრები და ხელმძღვანელები მადლიერებას გამოხატავენ სამუსიკო სკოლის დირექციის, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე აა(ი)პ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიმართ, თანადგომისა და ხელშეწყობისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872